დანართი N 1
დამტკიცებულია
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის
28.04.2015 წლის N 01/03 ბრძანებით

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ანგარიში

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტუდენტური გამოკითხვის შედეგების შესახებ

წინამდებარე ანგარიში ასახავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო კურსების შინაარსითა და ლექტორთა კომპეტენციით სტუდენტთა კმაყოფილების ხარისხის კვლევის შედეგებს, სასწავლო პროცესის მსვლელობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის აკადემიური საფეხურებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვაზე დაყრდნობით.

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასრულების შემდეგ სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა ფარგლებში ჩატარებული სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვის შედეგად შეფასდა 2014 წლის შემოდგომის სემესტრის სასწავლო კურსები და ამ კურსების წამკითხველი პედაგოგები. გამოკითხვა ჩატარდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ბრძანებით N 01/03 11.12.2014 დამტკიცებული სასწავლო კურსისა და პედაგოგთა შეფასების კითხვარის მიხედვით (თითოეულ კითხვაზე პასუხი წარმოდგენილი იყო ციფრობრივად, 5 ქულიანი შეფასების სკალით (თითეულ კითხვას ჰქონდა პასუხის 5 ვარიანტი: სრულიად ვეთანხმები 5-დან სრულიად არ ვეთანხმები 1-მდე გრადაციით). გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სამივე აკადემიური საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) და პროფესიულმა სტუდენტებმა. გამოკითხვა იყო ნებაყოფლობითი და ამიტომ არ ასახავს სტუდენტთა სრული შემადგენლობის განწყობასა და დამოკიდებულებას.

გამოკითხვის შედეგების შემაჯამებელი ზოგადი ანგარიშისთვის ვიხელმძღვანელეთ იმ მაჩვენებლების მიხედვით, რომლებიც კითხვარში იყო ასახული: კურსისა და პედაგოგის შემფასებელ სტუდენტთა ჯამი, კითხვაზე პასუხთა საშუალო არითმეტიკული (ყველა სტუდენტის მიერ მოცემულ კითხვაზე შემოხაზული

პასუხის საშუალო არითმეტიკული), სტანდარტული გადახრა (რომელიც აჩვენებს, რამდენადაა გაფანტული სტუდენტების პასუხები საშუალოს გარშემო), მედიანა (პასუხების აღმწერი იქ, სადაც საშუალოს მნიშვნელობა შემცირებულია პასუხების არათანაბრად განაწილების გამო). კითხვარი იძლეოდა სტუდენტის მიერ ვერბალური კომენტარების დატოვების საშუალებასაც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მიღებული საერთო შეთანხმების მიხედვით შეფასება ინტერვალში 2.5 - 5 ჩაითვლა დადებითად, ინტერვალში 1 - 2 არადამაკმაყოფილებლად, ხოლო ინტერვალში 2 - 2.5 - პრობლემატურ, კრიტიკულ შეფასებად.

რიგ შემთხვევებში, რაოდენობრივად ცოტა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ცალკეული კურსის შეფასებისას და შედეგები არ არის რეპრეზენტატული.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 8 247 სტუდენტმა. მათ შორის:

ფაკულტეტი	განათლების საფეხური	გამოკითხულ სტუდენტთა რაოდენობა
ეკონომიკისა და ბიზნესის	ბაკალავრიატი	1585
ეკონომიკისა და ბიზნესის	დოქტორანტურა (დოქტორანტი)	9
ეკონომიკისა და ბიზნესის	მაგისტრატურა	249
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ბაკალავრიატი	1077
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	დოქტორანტურა (დოქტორანტი)	1
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	მაგისტრატურა	52
იურიდიული	ბაკალავრიატი	1230
იურიდიული	მაგისტრატურა	107
მედიცინის	ერთსაფეხურიანი	122
მედიცინის	მაგისტრატურა	12
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	ბაკალავრიატი	1124
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	დოქტორანტურა (დოქტორანტი)	2
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	მაგისტრატურა	79
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	ბაკალავრიატი	386
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	მაგისტრატურა	15
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	პროფესიული	16
ფსიქოლოგიისა და განათლების	ბაკალავრიატი	540

მეცნიერებათა		
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	დოქტორანტურა (დოქტორანტი)	3
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	მაგისტრატურა	83
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	ბაკალავრიატი	1475
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	დოქტორანტურა (დოქტორანტი)	8
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	მაგისტრატურა	67
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა (მოსამზადებელი)	პროფესიული	5

გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები შესაბამისად დამუშავდა და ანალიზი გაკეთდა ფაკულტეტების მიხედვით:

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო, ეკონომიკის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის სასწავლო კურსითა და პედაგოგით კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ. შეფასებების მნიშვნელოვანი ნაწილი არის 4 ქულაზე მაღალი, შეფასები ძირითადად მერყეობს 3,5 ქულიდან 4, 5 ქულამდე. ერთადერთ შემთხვევაში ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასება აღმოჩნდა 2,5 ქულა (პასუხი შეკითხვაზე „პედაგოგმა შექმნა სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემო“). ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც კი სასწავლო კურსითა და პედაგოგით საერთო კმაყოფილების დონე გამოიხატება 3 ქულით. სტუდენტთა მიერ გაკეთებულ კომენტარებში გვხვდება ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებიც ერთიდაიგივე პედაგოგისა თუ სასწავლო კურსის შესახებ.

წარმოგიდგენთ, სტუდენტთა კომენტარების მიხედვით გამოვლენილი პრობლემების შესახებ ინფორამციას:

- სტუდენტთა კომენტარების უდიდეს ნაწილში აღნიშნულია ზოგადად სასწავლო გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება. კერძოდ, სტუდენტებს სურთ ესთეტიკურად მიმზიდველი და კომფორტული სასწავლო კორპუსები და მიმდებარე ტერიტორიები; გარემონტებული, სათანადო ტექნიკითა და ავეჯით აღჭურვილი აუდიტორიები, სხვა სასწავლო თუ დამხმარე სივრცე;
- სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა, სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება, რაც ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით გამოიხატება უახლესი მასალებით

გამდიდრებული და გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელოების მომზადებით; აღიარებული უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემით;

- კომენტარების მიხედვით, საჭიროა მთელ რიგ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდების გაუმჯობესება. კერძოდ, სტუდენტების სურვილია, პრაქტიკული ამოცანებითა და სავარჯიშოებით, კონკრეტული შემთხვევების ანალიზით (ე.წ. case studies) და ეკონომიკური თუ ბიზნეს-ქეისების განხილვებით სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობათა კიდევ უფრო მეტად გამდიდრება;
- სტუდენტთა აზრით, ცალკეულ საგნებში საჭიროა სწავლების კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფა და ჩვეულებრივი სააუდიტორიო ოთახების ნაცვლად კომპიუტერულ ლაბორატორიებში იმ სასწავლო კურსების სწავლება, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე, ამას საჭიროებენ;
- სტუდენტთა კომენტარების დიდი ნაწილის მიხედვით საჭიროა, სასწავლო პროგრამების ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც პრაქტიკაა, გახდეს უფრო მეტად ორგანიზებული, უფრო მრავალფეროვანი, ადექვატური, შინაარსიანი და პროფილის შესაბამისი;
- სტუდენტთა კომენტარებით, ცალკეულ საგნებში გამოცდების ორგანიზების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები დახვეწას საჭიროებს, ასევე, სურთ, გაიზარდოს ცალკეული სასწავლო კურსის საათები სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებისთვის. ზოგიერთი სასწავლო კურსებისთვის ითხოვენ სასწავლო მასალისა და საგამოცდო საკითხების გამარტივებას; თემატიკის გადახედვასა და გამდიდრებას;
- მაგისტრანტი სტუდენტების კომენტარები ცხადყოფენ, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა ცალკეული თემატიკისა და სასწავლო ლიტერატურის გადახალისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბაკალავრიატის საფეხურზე ნასწავლი მასალის გამეორება მაგისტრატურის საფეხურზე.

აღსანიშნავია, რომ თითქმის არსად დაფიქსირებულა არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასებები; შეფასებები მერყეობს 3.5-დან ზემოთ ფარგლებში. შეფასებები ინდივიდუალურად გადაეცემათ პროფესორ მასწავლებლებს გასაცნობად და რეაგირებისთვის.

კომენტარებში არის ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისებიც.

ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი:

აღსანიშნავია, რომ თითქმის არსად დაფიქსირებულა არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასებები; შეფასებები მერყეობს 3.5 ქულიდან ზემოთ ფარგლებში.

სტუდენტები ითხოვენ სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას; პროგრამულ უზრუნველყოფას და ახალ კომპიუტერებს; სასწავლო კურსებში უფრო მეტი პრაქტიკული ელემენტის შემოტანას; სასწავლო მასალების გამარტივებას.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:

ფსიქოლოგია, დონე - ბაკალავრიატი

ბაკალავრიატის დონეზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტების დაახლოვებით 80%-მა. სასწავლო საგნითა და პედაგოგით კმაყოფილება გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ, შეფასების საშუალო მაჩვენებელი ძირითადად შეადგენდა: 4,0 – 4,5 ქულას. სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გაიზარდოს ზოგიერთი სასწავლო საგნის სალექციო საათი (მაგალითად, კლინიკური ნეიროფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია).

გამოთქმული შენიშვნები შეიძლება დავყოთ 2 კატეგორიად:

- სტუდენტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, ზოგიერთი პედაგოგის ლექციაზე დაგვიანებასა და გაცდენასთან დაკავშირებით.
- სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე არ ქონის გამო და სასწავლო მასალის სიმწირესთან დაკავშირებით. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელო ისეთი საგანი როგორიცაა - ექსპერიმენტული ფსიქოლოგია. თუმცა აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, მიმდინარე სასწავლო წელს გათვალისწინებულია ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოს თარგმნა.

ფსიქოლოგია, დონე - მაგისტრატურა

მაგისტრატური დონეზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტების მცირე რაოდენობამ, შესაბამისად მიღებული შედეგების ვალიდობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

მაგისტრატურის დონეზე სასწავლო საგნისა და პედაგოგის შეფასების საშუალო მაჩვენებლი განაწილდა უფრო ფართო დიაპაზონში: 2,5/3, 0 ქულიდან 4.5 ქულამდე. მაგისტრატურის დონეზე სტუდენტების შენიშვნები ეხებოდა ძირითადად პედაგოგების მხრიდან ლექციაზე დაგვიანებას და გაცდენას.

დაწყებითი განათლება, დონე ბაკავლავრიატი

დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტები ასევე აქტიურად ჩაერთვნენ გამოკითხვის პროცესში (დაახლოვებით 80%). სასწავლო კურსების და პედაგოგების შეფასების საშუალო მაჩვენებელი განაწილდა: 3,5 – 4.5 ქულის დიაპაზონში.

გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობა უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით. კერძოდ, ლიტერატურა არის მოძველებული, გადატვირთულია საბჭოთა იდეოლოგიით.

განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, დონე მაგისტრატურა

სამწუხაროდ, სასწავლო საგანი და პედაგოგი შეაფასა 1 ან 2 მაგისტრანტმა, ამიტომ რაიმე ვალიდური დასკვნის გაკეთება ვერ მოხერხდა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბაკალავრიატი

ბაკალავრიატის დონეზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტების დაახლოებით 80%-მა. გამოკითხვის შედეგები შეჯამდა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ჯამი, საშუალო არითმეტიკული, მედიანა, სტანდარტული გადახრა. ამასთან, შესაძლებელი იყო დამატებითი კომენტარების წარდგენა. 2.5 - 5 შორის შეფასება ჩაითვლა დადებითად; 1 - 2 ფარგლები - არადამაკმაყოფილებლად, ხოლო 2 - 2.5 - პრობლემატურ შეფასებად.

რიგ შემთხვევებში რაოდენობრივად ცოტა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ცალკეული კურსის შეფასებისას და შედეგები რომ არ ყოფილიყო არარეპრეზენტატული, ასეთი შემთხვევები არ იქნა გათვალისწინებული.

სასწავლო საგნითა და პედაგოგით **კმაყოფილება** გამოთქვა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ, შეფასების საშუალო მაჩვენებელი მიმართულებების მიხედვით შეადგენდა:

- **პოლიტიკის მეცნიერება:** კურსების 71% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 21% - 4,6 - 5 ქულით, ხოლო 8% 2,5 - 3,9 ქულით;

- **ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია:** კურსების 44% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 44% - 4,6 - 5 ქულით, ხოლო 12% 2,5 - 3,9 ქულით;

- **საერთაშორისო ურთიერთობები:** კურსების 46% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 38% - 4,6 - 5 ქულით, 12% 2,5 - 3,9 ქულით, ხოლო 4% (1 კურსი) შეფასდა 2,4 ქულით;

- **საზოგადოებრივი გეოგრაფია:** კურსების 38% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 33% - 4,6 - 5 ქულით, 24% 2,5 - 3,9 ქულით, ხოლო 5% (1 კურსი) შეფასდა 2,4 ქულით;

- **სოციალური მუშაობა:** კურსების 27% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 53% - 4,6 - 5 ქულით, 13% 2,5 - 3,9 ქულით, ხოლო 7% (1 კურსი) შეფასდა 2,4 ქულით;

- **სოციოლოგია**: კურსების 48% შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 28% - 4,6 - 5 ქულით, ხოლო 24% 2,5 - 3,9 ქულით.

- **საფაკულტეტო საგნები:** კურსების 63 % შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 17% - 4,6 - 5 ქულით, ხოლო 20 % 2,5 - 3,9 ქულით;

- **ენები**: კურსების 40 % შეფასდა - 4,0 – 4,5 ქულით. 27% - 4,6 - 5 ქულით, ხოლო 33 % 2,5 - 3,9 ქულით.

პრობლემების იდენტიფიკაცია:

1. როგორც სტუდენტები აღნიშნავენ, შეინიშნება ჯგუფებში სტუდენტების დიდი რაოდენობა, რის გამოც შეუძლებელი ხდება კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. ეს ხელს უშლის გადმოცემული მასალის ეფექტურად აღქმას; და მათი აზრით, სემინარზე არსებული დიდი ჯგუფების შემთხვევაში, სტუდენტთა აქტიურობა არასწორად ფასდება.
2. სტუდენტთა აზრით, ზოგიერთ საგანში საჭიროა სასწავლო მასალის განახლება, რადგან ხშირ შემთხვევაში მასალა მოძველებულია და არ შეიცავს თანამედროვე ელემენტებს.
3. სტუდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ყველა საგანს უნდა ჰქონდეს სემინარი, რადგან ის არის ეფექტური უკუკავშირის საშუალება. უჭირთ მასალის აღქმა და გააზრება იმ საგნებში, რომლის ლექტორებიც მხოლოდ სალექციო დატვირთვას ატარებენ.
4. სტუდენტთა აზრით, საჭიროა უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაო. ხშირად სტუდენტები იძენენ თეორიულ ცოდნას, მაგრამ ვერ ახდენენ პრაქტიკაში ამის რეალიზებას.
5. ზოგიერთი ლექტორის ხშირი დაგვიანება არის სტუდენტთა უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი. ისინი აღშფოთებულები არიან იმის გამო, რომ ზოგჯერ უწევთ ნახევარსაათიანი ლოდინიც კი.
6. ზოგიერთ საგანში, დაბრკოლებაა სასწავლო მასალის ქართულ ენაზე არარსებობა. ამიტომ სტუდენტები ითხოვენ სასწავლო მასალის თარგმნას.
7. ხშირია ლექციების გაცდენა ზოგიერთ საგანში. ამით ზარალდებიან სტუდენტები. ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ უპასუხისმგებლობის მიმართ, რასაც ლექტორის მიერ ლექციის გაცდენა ჰქვია.
8. ზოგიერთ საგანში სემინარის ფორმატის შეცვლის სურვილს გამოთქვამენ სტუდენტები, რადგან ისინი თვლიან, რომ აღარ იმყოფებიან სკოლაში და მასალის მოყოლა აფასებს მხოლოდ

სტუდენტის მეხსიერებას და არ ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად კარგად გაიაზრა მან არსებული მასალა.

9. სტუდენტთა აზრით, შეფასების კრიტერიუმების დახვეწას საჭიროებს რამდენიმე საგანი. ზოგიერთ საგანში საერთოდ არ არის მითითებული დასწრების ქულა და სტუდენტები ითხოვენ ამის მითითებას. ხოლო ზოგ საგანში ქულების განაწილების პრინციპი მათთვის სრულიად გაუგებარია.
10. სტუდენტებმა ასევე გამოთქვეს სურვილი გაიზარდოს ზოგიერთი სასწავლო საგნის საკონტაქტო საათი.

მაგისტრატურა

მაგისტრატურის დონეზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტების მცირე რაოდენობამ, შესაბამისად მიღებული შედეგების ვალიდობა შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს.

მაგისტრატურის დონეზე სასწავლო საგნისა და პედაგოგის შეფასების საშუალო მაჩვენებლი განაწილდა უფრო ფართო დიაპაზონში: 2,5-3, 0 ქულიდან - 4.5 ქულამდე. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ 2,5 ქულა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გადაწყვეტილების მიჩნეულია პოზიტიურ შეფასებად.

მაგისტრატურის დონეზე სტუდენტების შენიშვნები ეხებოდა ძირითადად, პედაგოგების მხრიდან ლექციაზე დაგვიანებას და გაცდენას.

მედიცინის ფაკულტეტი

1.ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

შეფასების საშუალო მაჩვენებელის დიაპაზონმა პრაქტიკულად ყველა მიმართულების მიხედვით შეადგინა 3.2– 5 ქულა.

კითხვარში წარმოდგენილი კომენტარები ძირითადად ეხებოდა სასწავლო კურსების (განსაკუთრებით კლინიკური საგნების) ხანგრძლივობის გაზრდის მოთხოვნას და სასწავლო ლიტერატურის განახლებას.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ძალიან დაბალი აქტივობა.

2. მაგისტრატურის სტუდენტების გამოკითხვის შედეგები.

შეფასების საშუალო მაჩვენებელის დიაპაზონმა პრაქტიკულად ყველა მოდულის მიხედვით შეადგინა 4.3– 5 3 ქულა.

კითხვარში წარმოდგენილი კომენტარები ძირითადად იყო დადებითი და ზოგადად გამოთქმული იქნა სწავლის პროცესის მიმართ დადებითი შეფასებები.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა უმრავლესობამ (95%).

ზოგადი კომენტარები

გამოკითხვის პროცესში მედიცინის ფაკულტეტზე არ დაფიქსირდა არადამაკმაყოფილებელი და პრობლემური შეფასებები.

ზოგადად მაგისტრატურის სტუდენტების შეფასებები უფრო მაღალია.

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების დაბალი აქტივობის გამო, რიგ შემთხვევაში შედეგები არ არის რეპრეზენტატული და შესაბამისად ვერ გაკეთდა ვალიდური დასკვნები.

იურიდიული ფაკულტეტი

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო იურიდიული ფაკულტეტის როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებმა.

იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის გამოკითხულ სტუდენტთა 85% -მა სასწავლო საგნები და პედაგოგები შეეაფასა 4-5 ქულით. 15%-მა _ 2.5-4 ქულით. არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასება არ დაფიქსირებულა.

მაგისტრატურის საფეხურის გამოკითხულ სტუდენტთა 87%-მა პროცენტმა სასწავლო საგნები და პედაგოგები შეაფასა 4-5 ქულით, ხოლო 13%-მა პროცენტმა _ 2.5-4 ქულით. არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასება მაგისტრატურაშიც არ დაფიქსირებულა.

კითხვარში მოცემული კომენტარები ხშირად ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და დასკვნის განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, შეიძლება გამოიკვეთოს სტუდენტთა შემდეგი შენიშვნები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით:

1. ინტენსიური სასწავლო კურსის ხანგრძლივობის გაზრდა; ასევე გათვლისწინებული უნდა იქნეს, რომ ინტენსიური სასწავლო კურსი არ დაემთხვეს სხვა საგნებში შუალედური გამოცდების ჩატარების პერიოდს;
2. შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე შეტანილი საკითხები უნდა იყოს სირთულის მხრივ შესაბამისი სემინარებზე განხილული საკითხების;
3. ერთიდაიგივე საგანში გამოცდის ნაწერების ყველა შემფასებელი უნდა ხელმძღვანელობდეს შეფასების ერთნაირი კრიტერიუმით;
4. ლექტორი სილაბუსში მოცემულ საკითხებს და თემატიკას ზუსტად უნდა მიყვებოდეს;
5. სემინარის ხელმძღვანელს და ლექტორს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა;
6. საგამოცდო ნაწერების დროულად გასწორება;

7. საგამოცდო ნაწერების უშუალოდ ლექტორის მიერ გასწორება. რადგან დოქტორანტის შეფასება ხშირად განსხვავებულია ლექტორის შეფასებებისაგან.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთაგან კითხვარი შეავსო 1550 სტუდენტმა, აქედან ბაკალავრი არის 1475, მაგისტრი 67, დოქტორანტი 8.

სწავლების მეორე–მესამე საფეხურზე (მაგისტრატურა–დოქტორანტურა) გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტთა სიმცირის გამო ძნელია, მოპოვებული ინფორმაციის განზოგადება და საერთო სურათის შექმნა, ამ აზრს გვიმტკიცებს ის ფაქტიც, რომ იმ 67 მაგისტრანტიდან, რომლებმაც სამაგისტრო კურსები შეაფასეს, ხშირ შემთხვევაში თითო კურსს თითო ან ორი მაგისტრანტი აფასებს, ეს კი რესპოდენტთა სიმცირის გარდა, სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვის საშუალებას ნაკლებად იძლევა, ამიტომ ამ შეფასებებიდან პრობლემათა იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა ძალიან რთულად გვეჩვენება.

აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სასწავლო კურსითა და პედაგოგით კმაყოფილება გამოხატა გამოკითხვაში მონაწილე სტუდენტების უმრავლესობამ. არადამაკმაყოფილებელი და პრობლემატური შეფასება (კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ) წარმოდგენილია ერთეულ შემთხვევაში და ის გახდება ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაკვირვების საგანი.

მართალია, სტუდენტთა გამოკითხვის ანონიმურობა სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაუბრკოლებლად გამოხატოს თავისი დამოკიდებულება სასწავლო კურსისა და პედაგოგის მიმართ, მაგრამ სამაგისტრო პროგრამებზე სტუდენტთა მცირერიცხოვნება, ჩანს, გარკვეულწილად დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა მაგისტრანტთათვის, ღიად და გახსნილად გამოეთქვათ საკუთარი პოზიცია, მათი ვინაობის იდენტიფიცირების ალბათობის გარეშე, ამიტომ სამაგისტრო კურსთა შეფასებების მიხედვით სტუდენტთა საერთო კმაყოფილების დონე პრაქტიკულად 4 ქულაზე მაღალია, მაშინ როცა საბაკალავრო კურსების შეფასებები ძირითადად მერყეობს 3,5 ქულიდან ზემოთ. ასევე ვერბალური კომენტარები სამაგისტრო კურსებზე ძალიან იშვიათია (და თუ არის, ძირითადად, პოზიტიური შინაარსის და საქებარი), მაშინ როცა საბაკალავრო კურსებზე მეტია კრიტიკული მუხტი.

პრობლემების იდენტიფიკაცია:

1. რიგი კურსების სტუდენტები უჩივიან კურსის ფარგლებში მიცემული მასალის სირთულეს და სიმრავლეს, მიიჩნევენ, რომ კურსი შინაარსით და სასწავლო მასალით სწავლების მოცემული საფეხურისთვის რთულად დასაძლევია და ითხოვენ მის გამარტივებას. რიგ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ პედაგოგიც პერსონალურად, თავისი გადაჭარბებული სიმკაცრით ხელს

უწყობს ამგვარ „გართულებას“, რიგ შემთხვევაში კი ხაზგასმით აღნიშნავენ პედაგოგის კვალიფიციურობასა და მომზადების მაღალ დონეს, თუმცა სასწავლო კურსის მასალის მოცულობითა და სირთულით უკმაყოფილებას გამოთქვამენ და მიიჩნევენ, რომ კურსის კრედიტით გათვალისწინებულ საათებში მისი დაძლევა შეუძლებელია.

2. გამოკითხვის კითხვარები გვიჩვენებს საპირისპირო შემთხვევებსაც, რომ რიგი კურსების შეფასებისას სტუდენტები, პირიქით, უჩივიან მასალის სიმცირეს და თვლიან, რომ კურსის ფარგლებში საგნის ასათვისებლად გამოყოფილ დროს კარგავენ, რადგან მათი უფრო მეტად და უფრო მრავალფეროვანი სასწავლო მასალით დატვირთვა სავსებით შესაძლებელია და რეალური.

შენიშვნა: ასეთ შემთხვევებში, რეაგირების მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გადაიხედება ამ კურსების სილაბუსები მათ ავტორებსა და ლექტორებთან ერთად.

3. ლექტორთა პროფესიონალიზმისა თუ სტუდენტებთან მათი დამოკიდებულების შეფასებისას ცალკეულ შემთხვევებში სტუდენტთა კრიტიკის ობიექტია მასალის ახსნის პროცესის სიმშრალე და სქემატურობა, დაშტამპულობა, რიგ შემთხვევაში ლექტორის მიერ საკუთარი აზრის მათთვის თავსმოხვევა და საპირისპირო აზრის მიმართ შეუწყნარებლობა, ჯანსაღი დისკუსიის ნაკლებობა, ან სწავლების მოძველებული მეთოდების გამოყენება, ან სასწავლო პროცესის მიმართ თუ სტუდენტებთან დამოკიდებულებაში გამოვლენილი დაუდევრობა თუ გულგრილობა. ასეთ შეფასებებზე რეაგირება და ადმინისტრაციული ჩარევა როგორც ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ისე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან ამ ეტაპზე რთულია, რადგან აქ სუბიეტური მომენტების გამორიცხვა ვერ ხერხდება, თუმცა დადებით ფაქტორად მივიჩნევთ იმას, რომ კურსის შეფასებები გაკეთდა ერთიანად (როცა ლექციაზე შედის ერთი პროფესორი და სემინარი მიჰყავს მეორეს, კურსის შეფასების კითხვარი მიდის ორივესთან და ეს უკვე იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ აღნიშნული შეფასებები, მინიმუმ, მათ შორის მსჯელობის საგანი გახდება, ეს კი პრობლემის გადაწყვეტის გზაზე გადადგმული ნაბიჯია. გამოკითხვების შემდეგი ეტაპი უკვე გვიჩვენებს, სად მეორდება პრობლემები და შესაბამისად, დავსახავთ გეგმას, როგორ ვიმოქმედოთ მათ აღმოსაფხვრელად.
4. გვაქვს ისეთი შემთხვევები, როცა სტუდენტები უჩივიან ლექტორისა და სემინარის ხელმძღვანელის არაკოორდინირებულ მუშაობას (როცა ლექციაზე შედის ერთი პროფესორი და სემინარი მიჰყავს მეორეს), ცალ–ცალკე ორივეს აძლევენ დადებით შეფასებას, თუმცა უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმ ფაქტით, რომ ხშირად სემინარი იმ კვირის სალექციო თემის ათვისებას კი არ ეთმობა, არამედ სხვა მასალას. ან სალექციო პროცესში სხვაგვარი აქცენტები კეთდება ახსნილ სასწავლო მასალაზე და სასემინარო მუშაობისას – სრულიად სხვა. ამაზე პასუხად, ჩვენი სამსახური ფაკულტეტის პროფესურას

დაუგზავნის ინსტრუქციას, სადაც საგანგებოდ სთხოვს მათ ამ კუთხით უფრო მეტ მუშაობას.

5. რიგ შემთხვევაში კურსის შეფასების კითხვარის ციფრობრივ მონაცემებსა და ვერბალურ კომენტარებში არის ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები. მაგ., ციფრობრივად კურსის საერთო შეფასება 4 და მეტია და ვერბალურ კომენტარებში აღნიშნულია, რომ სასემინარო მუშაობის ფორმატი არის „კატასტროფული“ და ყოველ სემინარზე ერთსა და იმავეს მორიგეობით იმეორებს 8–10 სტუდენტი (ეს ის შემთხვევებია, როცა ლექცია და სემინარი მიჰყავს ერთსა და იმავე პროფესორს. სტუდენტი, რომელიც ვერბალურ კომენტარში ასე აფასებს სემინარის მიმდინარეობას, სავარაუდოდ, დიდი ალბათობით, მონაწილეობს კურსისა და პედაგოგის შეფასების კითხვარის ციფრობრივი ნაწილის შევსებაშიც და იქ ასეთი რადიკალური არაა). ეს გვაძლევს იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ რიგ შემთხვევებში სტუდენტებიც არ არიან მზად ამგვარი შეფასების კითხვარის შესავსებად და მათაც სჭირდებათ ახსნა–განმარტება, რას ემსახურება ეს ანონიმური გამოკითხვის პროცესი.
6. სტუდენტთა შეფასების უნარებსაც რომ გამომუშავება სჭირდება, ამაში გვარწმუნებს როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითი, ისე რიგი შემთხვევები, როცა სტუდენტთა ნაწილის მიერ მეტისმეტი აღტაცებით და საქებარი ეპითეტებით არის მოწონება გამოხატული ლექტორის მიერ პერსონალური ცხოვრებისეული გამოცდილების მათთვის გაზირების მიმართ (აბა, სალექციო მასალას წიგნშიც წავიკითხავთო!).
7. არის ცალკეული ჩივილი რიგ ტექნიკურ პრობლემებზე ელექტრონულ ბაზაში, რაც დროდადრო სილაბუსის ხელმისაწვდომობას შეუძლებელს ხდის, არის შემთხვევები, როცა უცხოენოვანი სასწავლო მასალის გამოყენებაზეა ჩივილი და ითხოვენ მის გაქართულებას (განსაკუთრებით ეს ეხება რუსულენოვან სამეცნიერო ლიტერატურას). ისეთი საკითხები კი, როგორიცაა ლექტორის ლექციაზე დაგვიანება თუ სასემინარო მუშაობის გაცდენა, ვფიქრობთ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეაგირების სფერო არაა, რადგან თსუ-ში არსებობს მონიტორინგის სამსახური, რომლის უშუალო სამუშაო ფუნქციაა სასწავლო პროცესის გამართული გრაფიკით მუშაობის კონტროლი.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებმა. აგრეთვე ერთმა დოქტორანტმა შეაფასა დოქტორანტურის ერთი სასწავლო კურსი. გამოკითხვის შედეგები შეჯამდა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ჯამი, საშუალო არითმეტიკული, მედიანა, სტანდარტული გადახრა. კითხვარი იძლეოდა დამატებითი კომენტარების წარდგენის საშუალებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში მიღებული საერთო შეთანხმების საფუძველზე

შეფასება ინტერვალში 2.5 - 5 ჩაითვლა დადებითად, ინტერვალში 1 - 2 არადამაკმაყოფილებლად, ხოლო ინტერვალში 2 - 2.5 - პრობლემურ შეფასებად.

1.საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვებში არ დაფიქსირებულა არადამაკმაყოფილებელი შეფასება. ფაკულტეტის ერთ სასწავლო კურსში დაფიქსირდა 2.444 შეფასება ერთი კრიტერიუმის - სასწავლო მასალის წვდომასთან დაკავშირებით და უცხო ენის სასწავლო კურსზე ერთი კრიტერიუმის (სილაბუსიდან მკაფიოდ გავიგე კურსის მიზნები) მიხედვით - 2.41.

კითხვარში წარმოდგენილი კომენტარები ძირითადად იყო დადებითი.
წარმოდგენილი კომენტარების ნაწილი ეხება სასწავლო ლიტერატურის განახლებას, გაუმჯობესებას და მათზე ელექტრონულად წვდომის შესაძლებლობას; გამოთქმულია უკმაყოფილება უცხო ენის კურსების სასწავლო მასალის ყიდვის აუცილებლობასთან დაკავშირებით;
რიგ სასწავლო კურსებში სტუდენტები ითხოვენ: პრაქტიკული მეცადინობებისა და ლაბორატორიული მეცადინეობების დროის გაზრდას, სწავლის ხანგრძლივობის გაზრდას; საკონტროლოების რიცხვის გაზრდას, ამოცანებისა და დავალებების ონლაინ მიწოდებას;
მეტ პრაქტიკულ და ნაკლებ თეორიულ ნაწილს;
ერთეულ სასწავლო კურსებზე არის უფრო მოგვიანებით გავლის, ხოლო ზოგიერთზე სასწავლო მასალის გამარტივებისა და შემცირების მოთხოვნა.
ზოგიერთ კომენტარში აღნიშნული იყო, რომ არ ესწრებოდა ლექციებს და ამიტომ ვერ შეაფასებს შესაბამის სასწავლო კურსს. ნაწილი სტუდენტების ითხოვს ვიდეოლექციებს და გაკვეთილებს.
რიგ სასწავლო კურსებში სტუდენტების გამოკითხვის შედეგებმა გამოავლინა ძალიან დაბალი აქტივობა.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის შედეგები

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ ყველა სასწავლო კურსი შეფასდა დადებითად. მათი მხრიდან კომენტარები ძირითადად არ გაკეთებულა. მცირერიცხოვან კომენტარებში მითითებულია, რომ სასწავლო კურსი არაფრის ცვლილებას არ საჭიროებს. ძირითადად ითხოვენ საველე პრაქტიკების და პრაქტიკული ნაწილის გაზრდას. იყო თხოვნა, ლექციების საღამოს საათებში დანიშვნის შესახებ, რადგან ისინი მუშაობენ.

აქვე უნდა აღინიშნოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის დიდი წვლილი ამ გამოკითხვის ტექნიკურად უზრუნველსაყოფად. მიუხედევად ამისა, რიგი ტექნიკური რეკომენდაციების გათვალისწინება სამომავლოდ კიდევ უფრო დახვეწილს გახდის ამ გამოკითხვას:

იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც რამდენიმე ლექტორია ან სადაც რამდენიმე პრაქტიკულის, ლაბორატორიულის ან სამუშაო ჯგუფის მასწავლებელია, სტუდენტთა კომენტარები მათ შესახებ შერეულია ერთმანეთში. კომენტარების ნაწილში არ ჩანს სტუდენტთა რაოდენობა. ამიტომ ისეთ შემთხვევებში, როცა სტუდენტები ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ სასწავლო კურსებისა ან ლექტორის შესახებ, რთულია ვალიდური დასკვნების გაკეთება. აგრეთვე სასურველი იქნებოდა, რომ გამოკითხვების შედეგები ბაზიდან მოხსნილიყო ერთიანად, რადგან თითოეული სასწავლო კურსის შესახებ გამოკითხვების ერთეულ ფაილებად შენახვა ძალიან ბევრ დროს საჭიროებს. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მხოლოდ ბაკალავრიატის სასწავლო კურსებისათვის ამან შეადგინა 498 ფაილი. აღსანიშნავია, რომ რადგან გამოკითხვა კონფიდენციალურია, ბევრი ადამიანის ჩართვა ამ პროცესში არ იყო სასურველი. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ სამომავლოდ გამოკითხვის შედეგებთან ერთად ჩანდეს სასწავლო კურსზე დარეგისტრირებულ სტუდენტთაგან რამდენმა პროცენტმა მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა, რომ გამოკითხვის შედეგების ვალიდურობის დადგენაზე არ დაიხარჯოს დამატებითი დრო.

განსაკუთრებულად და ცალკე გამოსაყოფია საფაკულტეტო უცხო ენათა შეფასების შედეგები, რომელთა განხორციელებასაც თსუ ენათა ცენტრი უზრუნველყოფს.

კურსის ვერბალურ კომენტარებში არის აბსოლუტურად ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები და ამის მიზეზია არა სტუდენტთა სუბიექტური დამოკიდებულება ერთი პედაგოგისა და მისი სწავლების მეთოდების მიმართ, არამედ ის, რომ ელექტრონულ ბაზაში და შესაბამისად, გამოკითხვის კითხვარშიც საფაკულტეტო უცხო ენების კურსების შემთხვევაში არ არის გვარ-სახელით პერსონიფიცირებული პედაგოგი და მითითებულია თსუ ენების ცენტრის მასწავლებელი. ამდენად, ერთი დონის და პარალელური ჯგუფების (სხვადასხვა პედაგოგთა) სტუდენტების შეფასებები ჯამდება ერთად და ვერბალურ კომენტარებში ერთსა და იმავე გრაფაში ვხვდებით, მაგ., შეფასებას, რომ კურსმა არაფერი მისცა სტუდენტის უცხო ენის ცოდნის დონეს და გაუმჯობესების ნაცვლად ისიც დაავიწყდა, რაც იცოდა, რომ პედაგოგი პასიური იყო და სულ ქართულად ლაპარაკობდა ლექციაზე... და ამასთან ერთად, ვხვდებით შეფასებას, რომ კურსი იყო სტუდენტის ინტერესებზე მორგებული და პედაგოგი - პროფესიონალი, სამართლიანი და მიუკერძოებელი.

ამ ეტაპზე საფაკულტეტო უცხო ენათა შეფასების კითხვარები ყველაზე ნაკლებ იძლევა პრობლემათა იდენტიფიცირების და სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას, თავად ენათა ცენტრის პედაგოგთა მხრიდანაც ძნელია რაიმე რეაგირება მაშინ, როცა არ შეგვიძლია საკუთარი შეფასება მივაწოდოთ და მხოლოდ კურსის ჯამურ შეფასებას ვაძლევთ, რაც, რეალურად, არის სხვადასხვა პედაგოგთა შეფასებების მექანიკური გაერთიანება.

შენიშვნა: სამომავლო გამოკითხვებისთვის აუცილებელია ამ პრობლემის მოგვარება და კითხვარში თუნდაც სტუდენტის მიერ უცხო ენის საკუთარი პედაგოგის გვარ-სახელის მითითების საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოკითხვას აზრი ეკარგება.

სტუდენტთა შეფასებები ინდივიდუალურად გადაეცათ პროფესორ-მასწავლებლებს გასაცნობად და რეაგირებისთვის. ასევე, ზოგადი შემაჯამებელი ანალიზი წარდგენილი და განხილულია საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი მიმართულებების/კათედრების ხელმძღვანელებთან ფაკულტეტების დეკანებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების სამუშაო შეხვედრაზე.

აღსანიშნავია, რომ მას მერე, რაც შეფასებები შესაბამისი განმარტებითი წერილით ინდივიდუალურად დაეგზავნა ფაკულტეტების აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პროფესორ–მასწავლებლებს გასაცნობად და რეაგირებისთვის, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებში ძალიან ბევრი პროფესორი მოვიდა იმის დასაზუსტებლად, მიღებული კითხვარების შეფასებებს სწორად კითხულობდნენ თუ არა. ეს ფაქტი უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ პროფესურას აინტერესებს სტუდენტის აზრი მასა და მის სასწავლო კურსზე. შედარებით ნაკლები, თუმცა იყო რამდენიმე საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელის ინტერესიც, გარდა ზოგადი ინფორმაციისა, მიეღოთ მათი პროგრამის კურსებზე გამოთქმული შეფასებების თაობაზე უფრო კონკრეტული დეტალები პროგრამის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაციები:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. სასწავლო პორცესის უმთავრეს შედეგს და, შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს, პირველ რიგში, სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების-გამოკითხვა, რასაც უახლოეს მომავალში გეგმავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. რაც შეეხება სასწავლო

კურსებისა და ლექტორთა შეფასებას, რამდენადაც აკადემური პერსონალისა თუ მოწვეულ ლექტორთა ხარისხი განისაზღვრება მათი სწავლებისა და სამეცნიერო კომპეტენციით და მათი უპირველესი დანიშნულება სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემაა, სწავლების ხარისხის დადგენისათვის რეკომენდირებულია შემდეგი კრიტერიუმების გამოყენება:

ზოგადი რეკომენდაციები:

- პროგრამის ეფექტურად დაგეგმვისა და შემუშავების უნარი - იგულისხმება სილაბუსის შემუშავება, სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევა, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობა და სხვა;
- უშუალოდ სწავლების, ანუ ცოდნის გადაცემის, მიწოდების უნარი - იგულისხმება სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესება, სტუდენტებტან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;
- დარგობრივი კომპეტენცია - საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროსი მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა,დარგობრივი სფეროს ადგილი სხვა დისციპლინებთან მიმართებაში და სხვა;
- კურსის მართვის უნარი - იგულისხმება სასწავლო კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება, როგორიცაა მაგ. კონსულტაციები;

სტუდენტების გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, გარკვეულწილად, შესაძლებელი გახდა შემდეგი სახის ინფორმაციის მოპოვება:

- საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი;
- შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;
- სტუდენტების მომზადების დონე.

სასურვლია ამგვარი ანალიზი რეგულარულად ჩატარდეს თითოეული ფაკულტეტის მიერ ყოველი სემესტრის დასრულებისას, რადგანაც ის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის სასწავლო პროგრამების, პროფესორ–მასწავლებელთა მუშაობისა და სტუდენტთა სწავლის შესახებ.

კონკრეტული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია სტუდენტთა კომენტარების უდიდეს ნაწილში აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინება უნივერსიტეტის სასწავლო გარემოს და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით.

- აუცილებელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელია პრობლემები სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებით. კერძოდ, საჭიროა სასწავლო ლიტერატურის გაუმჯობესება, რაც ცალკეული სასწავლო კურსების მიხედვით გამოიხატება უახლესი მასალებით გამდიდრებული და გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელოების მომზადებით; აღიარებული უცხოენოვანი სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო ლიტერატურის ქართულ ენაზე გამოცემით.
- მნიშვნელოვანია მთელ რიგ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდების გაუმჯობესების საჭიროება. სასურველია, პრაქტიკული ამოცანებითა და სავარჯიშოებით, კონკრეტული შემთხვევების ანალიზით (ე.წ. case studies) და ეკონომიკური თუ ბიზნეს-ქეისების განხილვებით სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობათა კიდევ უფრო მეტად გამდიდრება.
- სასურველია ცალკეულ საგნებში სწავლების კომპიუტერული პროგრამებით უზრუნველყოფა და ჩვეულებრივი საუდიტორიო ოთახების ნაცვლად კომპიუტერულ ლაბორატორიებში შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების სწავლება.
- სასურველია სასწავლო პროგრამების უმნიშვნელოვანესი - პრაქტიკის კომპონენტი გახდეს მეტად ორგანიზებული, მრავალფეროვანი, ადეკვატური, შინაარსიანი და პროფილის შესაბამისი.
- სასურველია ცალკეულ საგნებში დაიხვეწოს გამოცდების ორგანიზების საკითხები და შეფასების კრიტერიუმები, ასევე, გაიზარდოს ცალკეული სასწავლო კურსის საათები სემინარული და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის. ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის მიზანშეწონილია სასწავლო მასალისა და საგამოცდო საკითხების გამარტივება; თემატიკის გადახედვა და გამდიდრება.
- მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე ზოგიერთი სასწავლო კურსების შემთხვევაში საჭიროა ცალკეული თემატიკისა და სასწავლო ლიტერატურის გადახალისება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბაკალავრიატის აკადემიურ საფეხურზე ნასწავლი მასალის გამეორება მაგისტრატურაში.
- სასურველია უნივერსიტეტის მონიტორინგის სამსახურის გააქტიურება ზოგიერთი პედაგოგის ლექციაზე დაგვიანებასა და გაცდენასთან დაკავშირებით.
- სასურველია სასემინარო ჯგუფებში სტუდენტების რაოდენობის დაბალანსება, რადგან, დიდ ჯგუფებში შეუძლებელი ხდება კომუნიკაცია ლექტორებსა და სტუდენტებს შორის. ეს ხელს უშლის გადმოცემული მასალის ეფექტურად აღქმას და სტუდენტთა აქტიურობის ობიექტურ შეფასებას.
- ზოგიერთ საგანში საჭიროა სასწავლო მასალის განახლება, რადგან ხშირ შემთხვევაში მასალა მოძველებულია და არ შეიცავს თანამედროვე ელემენტებს.

- სტუდენტთა უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით, სასურველია ყველა საგანს ჰქონდეს სემინარი, რადგან ის არის ეფექტური უკუკავშირის საშუალება. სტუდენტებს უჭირთ მასალის აღქმა და გააზრება იმ საგნებში, რომლის ლექტორებიც მხოლოდ სალექციო დატვირთვას ატარებენ.
- საჭიროა უფრო მეტი პრაქტიკული სამუშაო. ხშირად სტუდენტები იძენენ თეორიულ ცოდნას, მაგრამ ვერ ახდენენ პრაქტიკაში ამის რეალიზებას.
- ზოგიერთ საგანში, დაბრკოლებაა სასწავლო მასალის ქართულ ენაზე არარსებობა. შესაბამისად, რეკომენდებულია სასწავლო მასალის თარგმნა.
- ზოგიერთ საგანში სასურველია სემინარის ფორმატის შეცვლა (სტუდენტები თვლიან, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მიღებული პრაქტიკა მასალის ზეპირსიტყვიერად გადმოცემის თვალსაზრისით, აფასებს მხოლოდ სტუდენტის მეხსიერებას და არ ითვალისწინებს იმას, თუ რამდენად კარგად გაიაზრა მან ეს უკანასკნელი).
- სასწავლო კურსების სილაბუსებში გადასახედია შეფასების კრიტერიუმები. ზოგიერთ საგანში საერთოდ არ არის მითითებული დასწრების ქულა და სტუდენტები ითხოვენ ამის მითითებას. ხოლო ზოგ საგანში ქულების განაწილების პრინციპი მათთვის სრულიად გაუგებარია. ამასთან, სტუდენტების სურვილია გაიზარდოს ზოგიერთი სასწავლო საგნის საკონტაქტო საათები.
- სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გადახედვა მათში მიცემული მასალის სირთულის და მოცულობის თვალსაზრისით. მიზანშეწონილია სასწავლო კურსების შინაარსისა და სასწავლო მასალის შესაბამისობაში მოყვანა სწავლების მოცემული საფეხურთან.
- სასურველია ტექნიკური ბაზის კონტროლი, რამდენადაც, არის ცალკეული ჩივილი რიგ ტექნიკურ პრობლემებზე ელექტრონულ ბაზაში, რაც დროდადრო სილაბუსის ხელმისაწვდომობას შეუძლებელს ხდის.
- სასურველია ინტენსიური სასწავლო კურსების ხანგრძლივობის გაზრდა; ასევე გათვლისწინებული უნდა იქნეს, რომ ინტენსიური სასწავლო კურსები არ დაემთხვეს სხვა საგნებში შუალედური გამოცდების ჩატარების პერიოდს.
- მნიშვნელოვანია, რომ შუალედურ და ფინალურ გამოცდაზე შეტანილი საკითხები სირთულის მხრივ შესაბამისობაში იყოს სემინარებზე განხილულ საკითხებთან.
- აუცილებელია ერთიდაიგივე საგანში გამოცდის ნაწერების ყველა შემფასებელი ხელმძღვანელობდეს შეფასების ერთნაირი კრიტერიუმით.

- აუცილებელია ლექტორი სილაბუსში მოცემულ საკითხებს და თემატიკას ზუსტად მიყვებოდეს.
- აუცილებელია სემინარის ხელმძღვანელს და ლექტორს შორის კომუნიკაციის ნაკლებობის აღმოფხვრა.
- აუცილებელია საგამოცდო ნაწერების დროულად გასწორება.
- სასურველი და მიზანშეწონილია საგამოცდო ნაწერების უშუალოდ ლექტორის მიერ გასწორება, რადგან დოქტორანტის შეფასება ხშირად განსხვავებულია ლექტორის შეფასებებისაგან.

RESUME:

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის აუცილებელი ელემენტია უნივერსიტეტის მუშაობაში მონაწილე ყველა მხარის აზრის და დამოკიდებულებების კვლევა.
კვლევის/გამოკითხვის ობიექტებად მოიაზრება:

- სტუდენტები
- აკადემიური პერსონალი
- დამსაქმებლები/პოტენციური დამსაქმებელი
- კურსდამთავრებულები
- და სხვა

გამოკითხვა სპეციფიკური პროცესია, რომელიც შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას მოითხოვს: კითხვარების შედგენა, უშუალოდ გამოკითხვის წარმოება, შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი სათანადო მომზადების გარეშე კვლევის მაღალ ხარისხს და სანდოობას ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასურველია აღნიშნული ტიპის გამოკითხვების ჩატარება დაევალოს პროფესიონალ სოციოლოგებს. კვლევის დამკვეთი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურია. ის მკაფიოდ უნდა განსაზღვრავს კვლევის თემას, ხოლო მისი დიზაინი და ფორმატი შემსრულებლების პასუხისმგებლობაა.

თსუ ხარისხის უზრნველყოფის სამსახურის მიერ რეკომენდირებულია კვლევების წარმოება შემდეგი საკითხების შესწავლისთვის :

- სასწავლო პროცესის მახასიათებლები - ამ შემთხვევაში შეიძლება გამოიკითხოს როგორც სტუდენტი, ასევე აკადემური პერსონალი.
- სამეცნიერო პროცესის ეფექტურობა.
- პროგრამების რელევანტურობა შრომის ბაზრისათვის - კითხვარი დამსაქმებლებისათვის.
- სტუდენტების შიდა საუნივერსიტეტო მობილობის მიზეზები.
- უნივერსიტეტის მართვის ეფექტურობა.

ამ ტიპის კვლევების დაგეგმვისას სამომავლოდ აუცილებლად გასათვალისწინებელი იქნება სათანადო ხარჯები - კითხვარების შემუშავება, რესპოდენტების გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუ და სხვა მეთოდები.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად იზრუნებს სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის სათანადო კვლევების და შეფასების ფორმების განხორციელებაზე, როგორებიცაა, კოლეგების მიერ შეფასება, გარე შეფასება და სხვ.

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან ერთად ეცდება მეტად გაითვალისწინოს და გაიზიაროს დასავლეთის გამოცდილება კვლევის და სწავლების გაუმჯობესების კუთხით.